

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2024 წლის \_\_\_\_\_ ივნისი, ქ. ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 29/08/2023, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016593) და განაშენიანების დეტალური გეგმა ჩამოყალიბდეს ამ დადგენილებაზე თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

რამაზ ჯინჭარაძე

## განმარტებითი ბარათი

### პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

#### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

##### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღება.

განმცხადებელია შპს „მიდთაუნგრუპი“ (N445461704), რომლის მიერ მოთხოვნილია დამტკიცებულ განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილებების შეტანა. წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს გეგმარებითი ერთეულის არეალში მდებარე რომან გაბაიძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისათვის N05.24.22.776 განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას დადგენილი 2,5-დან 7,0-მდე.

ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.34.23.776, 05.34.23.050, 05.34.23.072, 05.34.23.685, 05.34.23.777, 05.34.23.812, 05.34.23.914, 05.34.23.915, 05.34.29.022 (და 2 დაურეგისტრირებელი)) 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებით დამტკიცდა განაშენიანების დეტალური გეგმა.

2024 წლის 24 მარტს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული იქნა განკარგულება N:გ-15. 15240867, რომლითაც შპს „მიდთაუნგრუპს“ (N445461704) მიეცა შესაძლებლობა ცვლილებები შეეტანა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N20 დადგენილებაში, რომლითაც დამტკიცდა გდგ ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 05.34.23.776, 05.34.23.050, 05.34.23.072, 05.34.23.685, 05.34.23.777, 05.34.23.812, 05.34.23.914, 05.34.23.915, 05.34.29.022 (და 2 დაურეგისტრირებელი)) მიწის ნაკვეთებზე.

სამშენებლო მიწის ნაკვეთი დღეისათვის წარმოადგენს მოუწესრიგებელ თავისუფალ ტერიტორიას, რომელზეც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, გამწვანების, პარკინგის მოწყობა და სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. განაშენიანების დეტალური გეგმაში ცვლილებების შეტანის გეგმით მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია, ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის ინტენსივობის კოეფიციენტის დადგენილი 2,5-დან 7,0-მდე გაზრდა.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: არ გამოიწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე - არ გამოიწვევს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში): პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციების არ მიღებულა

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის

ქალაქგანვითარებისა და ურბანული

პოლიტიკის სამსახურის უფროსი

გიორგი წანაწყენიშვილი